MES 4 20 00365865

07/05/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.04.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:19
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა -** შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

8. პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;
9. გიორგი თურქია - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
10. ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
11. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომა დგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თეა ნადირაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველო სუფროსი
2	სოფიკოქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
5	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველო სკოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მანანა ცერცვაძე	შპს სასწავლო უნივერტეტის გეომედი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I- II
2	მარიამ ველიჯაშვილი	შპს სასწავლო უნივერტეტის გეომედი	მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი	I- II
3	თეა ჭეიშვილი	შპს სასწავლო უნივერტეტის გეომედი	უნივერსიტეტის იურისტი	I- II
4	ივანე აბიათარი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	III
5	იგორ კალანდაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
6	ეკა ლეფსვერიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი	III
7				III

	ელენე ჟურავლიოვა	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, საბუნებისმეტყველ მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის არისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
8	ქეთევან ბოიკო	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების სამსსახურის უფროსის მოადგილე	III
9	ნინო ჟვანია	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
10	სოსო გოგილიძე	საქართველოს უნივერსიტეტი	პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში	IV
11	არჩილ ჯანგირაშვილი	საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	IV
12	მარიამ სილაგავა	საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის მენეჯერი	IV
13	ჯონი მწარიაშვილი	საქართველოს უნივერსიტეტი	ავტორიზაციის განყოვილების უფროსი	IV
14	სულხან სულხანიშვილი	საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები)

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	ნინი არაბული	ჩაერთო "ზუმით"	IV
2	რომეო გალდავა	ჩაერთო "ზუმით"	IV

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:40 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (საპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);

2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ინგლისურენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის"ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);

3. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ქართულენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის"ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციოს მიერ უკან დაბრუნებული)

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

დღის წესრიგში განხორციელდა ცვლილება.
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ინგლისურენოვანი„დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);

2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ქართულენოვანი„დიპლომირებული მედიკოსის"ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციოს მიერ უკან დაბრუნებული);

3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის"ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (საპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული);

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

1. პირველი საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ინგლისურენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული)

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	

		“დიპლომირებული მედიკოსის” ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, N118
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0144, მეფე სოლომონ მე-2-ის ქ, N2.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

2. მეორე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის ქართულენოვანი „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციოს მიერ უკან დაბრუნებული)

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	“დიპლომირებული მედიკოსის” ერთსაფეხურიანი სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2018 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება, N117
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360

11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0144, მეფე სოლომონ მე-2-ის ქ, N2.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, მაირი სქოტმა საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა შეხვედრისთვის და მოახსენა, რომ დასკვნა საკმაოდ ყოვლისმომცველია და მასში ასახულია ყველა მნიშვნელოვანი გარემოება. ასევე, მან ხაზი გაუსვა განვლილ პროცესებს, რაც საკმაოდ ნორმალურად წარიმართა, როგორც დოკუმენტების შესწავლის, ასევე ვიზიტის განხორციელების კუთხით.
ამასთან, აღნიშნა, რომ პროცესი გამოწვევებით ხასიათდებოდა, იმ სირთულეების გამო რაც ზოგიერთ დოკუმენტაციასთან არსებობდა. აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი საკმაოდ ეხმარებოდნენ და თანამშრომლობდნენ, თუმცა ზოგადი შეთანხმება დარჩა, რომ ზოგიერთ დოკუმენტაციასთან წვდომა წარმოადგენს ერთ-ერთი ფართო პრობლემას. მაგალითად, როგორიც არის ხარისხის კონტროლის დოკუმენტებთან წვდომა და ამის საჭიროების არსებობა.
ასევე, დაამატა, რომ აფასებენ დაწესებულების მიერ განხორციელებულ ყველა ღონისძიებას და ასევე აღნიშნა, რომ ყველა დაწესებულება, რომელიც ამზადებს ინტეგრირებულ კურიკულუმს უნდა აცნობიერებდეს, რომ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სრულად უნდა ესმოდეს იმ ცვლილებების საჭიროება, რაც უნდა განხორციელდეს ამისთვის. ეს ასევე უკავშირდება იმ ძირითად, პრინციპებს (ფილოსოფიას) რაც საჭიროა ასეთი პროიგრამის განხორციელებისთვის. შესაბამისად, სამეცნიერო, აკადემიურმა, ადმინისტრაციულმა პერსონალმა ყველამ ერთად უნდა იმუშაონ, რათა განავითარონ და უზრუნველყონ კურიკულუმი. შეიძლება იკვეთება, რომ ყველას ვინც ამ პროცესებშია ჩართული სრულად არ ესმის ის კომპლექსურობა რისი განვითარებაც და მიწოდებაც უწევთ.
ასევე მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის ასპექტები, განსაკუთრებით კვლევის მიმართულებით. ასევე ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან დაწესებულების ერთ-ერთ მთავარ მიზანს სწორედ ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს.
რომ შევაჯამოთ, პროგრამაში გვხვდება ბევრი ხარვეზი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვამბობთ, რომ დაწესებულებას არ შეუძლია აღნიშული პროგრამის განხორციელება. მაგრამ ჩვენ გავეცით ბევრი რეკომენდაცია, რაც საჭიროა, რომ შესრულდეს იმისთვის, რომ წინ გადაიდგას ნაბიჯები ამ მიმართულებით.

ასევე, ექსპერტმა აღნიშნა სტუდენტთა დამოკიდებულების შესახებ, რომ ისინი ძალიან კმაყოფილები არიან სწავლის პროცესით.
ქართველმა ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ თქვა, რომ მას სურს სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების არგუმენტის ნახვა, რადგან მას წარმოუდგენლად მიაჩნია ამ მცირე დროში საგანმანათლებლო პროგრამაში რაიმე მნიშვნელოვნად შეცვლილიყო.
საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტს ჰკითხა თუ რა შთაბეჭდილება დატოვა საგანმანათლებლო პროგრამამ ვიზიტისას, მისი მოსაზრებით, იმსახურებს თუ არა ის არსებობას და სტუდენტების ყოლას. მან დააზუსტა შეკითხვა, იყო თუ არა ის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს, თუ აქვს ისეთი ხარვეზები, რომელიც გამოსწორებადია, უნდა დარჩენილიყო თუ არა გარეთ 800 სტუდენტი.
ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ საბჭოს თავჯდომარეს უპასუხა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თანამონაწილეები არიან ექსპერტებიც, თუ სტუდენტები გარეთ დარჩნენ, ეს დანაშაულს წარმოადგენს?!
საბჭოს თავჯდომრემ განმარტა, რომ ის არ ამბობს, რომ რაიმე დანაშაულებრივი ქმედება იქნა ჩადენილი, საბჭოს წევრებს ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე შეეძლოთ პირობითი აკრედიტაციის მინიჭება, თუმცა რადგან საგანმანათლებლო პროგრამას უკვე ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია მინიჭებული, მეორეჯერ ვეღარ მიანიჭებდნენ. მან კიდევ ერთხელ ჰკითხა ექსპერტს, უნდა არსებობდეს თუ არა ეს საგანმნათლებლო პროგრამა.
ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ თქვა, რომ თუ ჩვენ მივდვართ იმ გზაზე, რომ დავაკმაყოფილოთ მსოფლიო განათლების ფედერაციის და მსოფლიო ჯანდაცვის ფედერაციის მოთხოვნები, მაშინ შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ საგანმანათლებლო პროგრამა, მაგრამ თუ სადაც ვიყავით იქ უნდა დავრჩეთ, შეიძლება უფრო ცუდ საგანმანათლებლო პროგრამასაც მიუღია აკრედიტაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ თუ ევროპული სტანდარტისკენ მივდივართ და გავითვალისწინებთ, რომ ცენტრი არის საერთაშორისო აკრედიტაციის მიმნიჭებელი მანდატის მქონე, სწორედ ამ საზომით შეისწავლეს ექსპერტებმა საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც 5 სტანდრტიდან 1 შესაბამისია მოთხოვნებთან, 2 მეტწილად შესაბამისი და 2 ნაწილობრივ შესაბამისი. მისი თქმით, პოზიცია დაფიქსირებულია დასკვნაში, ის არ გამორიცხავს, რომ მსგავსი სიძლიერის ან უფრო ცუდი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება, თუმცა საუბარია ხვალინდელ დღეზე და იმ გამოწვევებზე, რომლებიც დადგა დღეს ჯანდაცვის სფეროში.
დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა ცერცვაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მათ იმუშავეს რეკომენდაციებზე, ზოგიერთი მათგანი სხვანაირად დაინახეს, უნივერსიტეტს აქვს ყველა შესაძლებლობა და რესურსი, რომ გაითვალისწინონ ისინი. მან დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს.
დაწესეულების წარმომადგენელმა მარიამ ველიჯანაშვილმა საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა და დაიწყო საუბარი მე-2 სტანდარტით, სადაც ნაწილობრივი შესაბამისობა მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამას. მისი თქმით, 2.2 ქვესტანდარტში რეკომენდირებულია დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად კლინიკუნი უნარების ლაბორატორიაში, კლინიკური უნარების განვითარებისათვის რეკომენდირებულია სავალდებულო 10 კრედიტის რაოდენობის დაწესება, რაზეც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმში არის მოცემული კლინიკური უნარების შესავალი, რომელიც შეადგენს 2 კრედიტს, დანარჩენი 8 კრედიტი (200 საათი) კი ჩაშლილია ნორმის და პათოლოგიის მოდულებში, ჯამში 18 მოდული (9 – 9 მოდული).
დაწესებულების წარმომადგენელმა ეკრანზე გაზიარებით ჩართო სქემა, სადაც პირველ სემესტრში აქვთ 1 ნორმის და ერთი კლინიკური უნარების შესავალი - 2 კრედიტი, მე -2 მე - 3 მე - 4 სემესტრში - ნორმის მოდულები, მე - 5 , მე -6 სემესტრში - პათოლოგიის მოდულები, ნორმისა და პათოლოოგიის მოდულებში კლინიკური უნარების საათი არის 201 საათი (8 კრედიტი), ინტეგრირებულ მოდულში ცალკე ვერ მიანიჭეს კრედიტები, რადგან მოდულს ჰქონდა მინიჭებული კრედიტი, რადგან მათ უნდოდათ დისციპლინის მოდულად წარმოდგენა, რომელსაც ექნებოდა ერთიანი კრედიტი, დათვალეს საათების რაოდენობა და მიანიჭეს საერთო კრედიტი მოდულისთვის, კომპონენტებში კი საათობრივად ჩაშალეს მოდულები, გამომდინარე

აქედან ალბათ რთული იყო დაჯამება. რაც შეეხება 2.3 ქვესტანდართან გაცემულ რეომენდაციას დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ყველა ინტეგრირებულ მოდულში გათვალისწინებულია მხოლოდ ინტეგრირებული საგამოცდო ტესტები, არა მხოლოდ შუალედური გამოცდისთვის არამედ მიმდინარე შეფასებისთვისაც. მან ისევ ეკრანის გაზიარებით აჩვენა საბჭოს წევრებს ერთ - ერთი გულ - სისხლძარღვთა სისტემის ნორმის მოდული, სადაც შეფასებაში წერია 60 ქულა - მიმდინარე აქტივობები, გროვდება მოდულის განმავლობაში შემაჯამებელი 2 ქვიზით, 15 – 15 ქულიანი ინტეგრირებული კლინიკური ქეისით, თითოეული ტესტი ფასდება თითო ქულით, შემდეგ ტარდება 10 ქულიანი კლინიკური უნარების პრაქტიკული გამოცდა 2 ჯერ მოდულის განმავლობაში სტუდენტის გაუფრთხილებლად, მოდულის დასაწყისში პედაგოგი დეტალურად უხსნის სტუდენტს სილაბუსს, უხსნის, რომ ჩაუტარდება 2 გამოცდა კლინიკური უნარების ნაწილში, რისთვისაც წინასწარ არ იქნებიან მომზადებულნი. მისი განმარტებით, შუალედური გამოცდა არის 20 ქულიანი, რომელიც 5 - ვე საბაზისო კომპონენტს ეყრდნობა, ფინალურ გამოცდაში არის 2 კომპონენტი: ინტეგრირებული ტესტი, ტესტური ნაწილი - 16 ქულა, კლინიკური უნარების ნაწილი, რომელიც ტარდება ოსკის სახით 12 საგამოცდო ცენტრში. აღნიშნული გადაწყვეტილება გამომდინარეობდა დარგობრივ ჩარჩოდან და სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან კონსულტაციითაც გამოიკვეთა პრაქტიკული უნარების განვითარების მოთხოვნა, შესაბამისად, 40 ქულიდან 23 ქულა დაეთმო პრაქტიკულ ნაწილს, თუ პრაქტიკულ ნაწილში სტუდენტი კარგად არ არის მომზადებული ის ვერ ჩააბარებს გამოცდას, ამგვარი მიდგომაა პათოლოგიის მოდულის შემთხვევაშიც, ის შედგება 3 დისციპლინისაგან: პათოლოგია, ფარმაკოლოგია, კლინიკური უნარები- სულ 30 ქულა, 15 – 15 ქულიანი ქვიზი, ინტეგრირებული კლინიკური ქეისები, კლინიკური უნარების ნაწილი - 10 ქულა, შუალედური გამოცდა - ინტეგრირებული ტესტი - მაქსიმუმ 20 ქულა, ფინალური გამოცდა - ტესტური ნაწილი - 16 ქულა, “ოსკის” ნაწილი - 24 ქულა. ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინრე ყველა პედაგოგის ერთად შეკრება რთულია, შესაბამისად, მათ იყიდეს ტესტების, მას თავად შეუძლია შექმნას 100 ქულიანი ტესტი, სადაც შეიძლება შედიოდეს 5 - ვე დისციპლინა, იქმნება ინტეგრირებული ტესტი, კლინიკურ ქეისში აღწერილია პაციენტის ანამნეზი, ხოლო ქეისის აღწერილობის შემდეგ ისმევა კითხვა. ყველა მათგანი არის კლინიკურ ქეისი, საჭიროებს კლინიკურ უნარებს, ინტეგრირებული დისციპლინების ცოდნას და აღქმას, რადგან გამოკითხვა წარმოებს ინტეგრირებული მეთოდით. ასევე, 2.3 ქვესტანდარტთან გაცემულ შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მუშაობდნენ დამსაქმებლები, სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, ამ საგანმანათლებლო პროგრამას ჯერ კურსდამთავრებულები არჰყავთ, მათი აზრის გამოკითხვა ფიზიკურად ვერ მოხდებოდა, შესაბამისად, გამოიყენეს, სხვა ფაკულტეტის სტომატოლოგიის კურსდამთავრებულების გამოკითხვები, ასევე, ფიზიკური მედიცინა რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის. რაც შეეხება კომპეტენციის რუკას პირველი დონე არის გაცნობა, მეორე დონე - გაღრმავება, მესამე დონე - განმტკიცება, სათითაოდ თითოეულ საგანზე გაწერეს 13 - ვე კომპეტენცია, შექმნეს რუკა, თუ რომელი საგანი რომელ დონეზე და რომელ კომპეტენციაზე გადის. საბოლოოდ, ძირითადად, პირველი და მეოთხე სემესტრის ჩათვლით საგნები გადის პირველ დონეზე სხვადასხვა კომპეტენციებზე, მეხუთე და მეექვსე სემესტრში საგნები გადის მეორე, გაღრმავების დონეზე, ხოლო მე - 7 დან მე - 12 სემესტრამდე ისწავლება კლინიკური დისციპლინები, სადაც ხდება უნარების განმტკიცება. მან გახსნა ნორმისა და პათოლოგიის მოდული, სადაც კლინიკურ უნარებში პრაქტიკულ ნაწილს სტუდენტი ელემეტარულად ეცნობა, მაგალითად, გულ - სისხლძარღვთა სილაბუსში, პულსის განსაზღვრის მეთოდი, შესაბამისად, ის გაყვანილია - პირველ დონეზე, შემდეგ ის ავითარებს მას მე - 6 სემესტრში მაგალითად, გულ - სისხლძარღვთა პათოლოგიის სილაბუსში, გულსისხლძარღვთა გულის თანდაყოლილი მანკები და ა. შ. ხოლო მე - 7 სემესტრიდან ხდება მისი განმტიცება შინაგანი დაავადებების სილაბუსით, ის ცალკე დისციპლინად არის წარმოდგენილი, განმტკიცებად თვლიან იმიტომ, რომ სტუდენტები დამოუკიდებლად ეჩვევიან თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებას სუპერვაიზერის მეთვალყურეობის ქვეშ,

აქტიურად აქვთ გამოყენებული “სი ბი ელ” (CBL) გამოცდები ნორმისა და პათოლოგიის მოდულებშიც. მათ აქვთ დარგობრივი კომპეტენციების რუკა შექმნილი, სადაც განსაზღვრულია 13 - ვე კომპეტენციაზე, მათი შინაარსის მიხედვით თითოეული საგანი რა შედეგზე და დონეზე გადის, მასზე დაფუძვნებით გააკეთეს შეფასების ცხრილი ე. წ პორტფოლიო, სადაც წლის ბოლოს ფასდებიან სტუდენტები, თუ რამდენად კარგად ხდება დასახული მიზნების მიღწევა, ჩავარდნების აღმოფხვრა. თითოეული სილაბუსების შემუშავებისას მათ დიდი სამუშაო გასწიეს აკადემიური პერსონალის მაქსიმალური ჩართულობით, ჰქონდათ კონსულტაციები ადგილობრივ და საერთაშორისო სპეციალისტებთან, გაიარეს კონსულტაციები გაიანე სიმონიასთან, გაითვალისწინეს მისი რეკომენდაციები, ისინი მაქსიმალურად შეეცადნენ დარგობრივ კომპეტენციებთან მიესადაგებინათ თითოეული სილაბუსი. 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მეექვსე წელს გაზრდილი აქვთ თავისუფალი კომპონენტების რაოდენობა, მაგალითად, პრაქტიკა კლინიკაში, სტუდენტები ნებაყოფლობით მორიგეობენ და გადიან პრაქტიკას სხვა კლინიკებშიც, შესაბამისად, შესთავაზეს მათ თავისუფალი კრედიტები და უღიარეს 10 კრედიტი (250 საათი), სასწავლო კურსი მოიცავს 23 (8 საათიანი) მორიგეობას და იმ სამუშაოებს რაც გაწერილი სილაბუსში. აღნიშნულის მიზეზი იყო სტუდენტებთან კონსულტაცია. რაც შეეხება 2.5 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციას, მან თქვა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად აცნობიერებენ ძირითად საგანმანათლებლო პედაგოგიკას გამოცდილებიდან გამომდინარე, მათთან შეთანხმებით შეიქმნა სილაბუსები, თუ რეკომედაცია ეხება ახალ მეთოდებს, ჩატარდა ტრენინგები და კიდევ გეგმავენ მომავალში პერსონალის ცოდნა-უნარების გაუმჯობესებას. ინტეგრირებული ტესტებთან დაკავშირებით მან უკვე ისაუბრა. დაწესებულების წარმომადგენელმა ამოიკითხა საბჭოს წევრების მიერ გაცემული რეკომენდაციებიც. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ სიცოცხლის შემსწავლელი ბლოკი არის უბრალოდ საბაზისო სავალდებულო საგნების (I და IIსემესტრი) გაერთიანებული ბლოკი და არა ინტეგრირებული ბლოკი: უჯრედის ბიოლოგია და გენეტიკა, სამედიცინო ქიმია, სამედიცინო ფიზიკა, ზოგადი ბიოქიმია, ციტოლოგია, ემბრიონოლოგია, რაც ჩათვალეს, რომ გადის პაციენტის კონსულტაციაში. აღნიშნული მოსაზრება გამომდინარეობს იქიდან, რომ პაციენტის კონსულტაცია არის ზოგადი ტერმინი, მასში არა მხოლოდ ფისკალური გასინჯვა და გამოკვლევა მოისაზრება არამედ ანამნეზის შეკრება, მონაცემთა რეგისტრაცია, სხვადასხვა კვლევის შედეგების წაკითხვის უნარი, მაგალითად, უჯრედის ბიოლოგია და გენეტიკაში, გარდა თეორიული მასალისა პედაგოგი განიხილავს კონკრეტულ მოკლე კლინიკურ შემთხვევებს ნებისმიერ დაავადებათა კავშირში, მაგალითად სამედიცინო ფიზიკის ნაწილში ხდება აქტიურად ულტრა ბგერის, პრინციპის და მუშაობის სწავლება, სურათების განხილვაც, ასევეა, სხვა დისციპლინების შემთხვევაშიც, პედაგოგებმა ჩართეს მოკლე კლინიკური შემთხვევის განხილვა. შესაბამისად, მათ ჩათვალეს, რომ ეს ბლოკი გაცნობის დონეზე გადის პაციენტის კონსულტაციაზე. საბჭოს შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა თანაკონსულტანტებს და მათ ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამაში, მან თქვა, რომ მათთან ჰქონდათ მჭიდრო კავშირი, ექსპერტებისთვის შეიძლება არ იყო საკმარისი მხოლოდ ელექტრონული კომუნიკაცია, მან ერანის გაზიარებით აჩვენა საბჭოს წევრებს მინისოტადან გამოგზავნილი წერილი, რომ ექსპერტი ნამდვილად მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაში, იყო ჩამოსული რამდენჯერმე, მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შემუშავებაში. სილაბუსების დეტალიზებასთან დაკავშირებით კი მან ეკრანის გაზიარებით გახსნა სამეცნიერო პრაქტიკული სამუშაოს სილაბუსი, რომელიც არის თავისუფალი კრედიტი, ხოლო საბჭოს წევრების მიერ ჩამოთვლილი კურსები არის სავალდებულო კურსები, რომელიც უკვე გავლილი აქვს სტუდენტს. ხოლო კვლევასთან დაკავშირებული ინფორმაციას რაც შეეხება, ის არ არის მოცემული სილაბუსში, რადგან ის სხვადასხვანაირია, ყველა სახის კვლევას აქვს თავიანთი კრიტერიუმები. ის ეთანხმება საბჭოს წევრს, რომ ზედამხედველის არჩევის კრიტერიუმები, ნაშრომის მოთხოვნები უნდა იყოს მითითებული, შესაძლებელია მისი ჩასმა ან ცალკე დოკუმენტად მიმაგრება. შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან ეკრანის გაზიარებით

გახსნა პრაქტიკა კლინიკაშის სილაბუსი, სადაც გაწერილი იყო სტუდენტის მინიმალური მოთხოვნები. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტები სხვაგან გადიან პრაქტიკას ისინი განმახორციელებელს აწვდიან სილაბუსს, პორტფოლიოს, რომელსაც ავსებენ პრაქტიკის განმახორციელებლები და უგზავნიან დეკანატს. მორიგეობის საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ გამოიყენება მორიგეობის შეფასების ფურცელი, ხდება სტუდენტის შეფასება, კლინიკაში მორიგეობა არის 8 საათი, კლინიკაში სტუდენტი იგზავნება იმისათვის, რომ ზოგადად აღიქვას სიტუაცია, მოხდეს სიტუაციური შემთხვევების გათამაშება, პაციენტისგან აიღოს ნებართვა, მას ხელმძღვანელობს ის ექიმი, ვისთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, თეორიული შეფასება კი ხდება უნივერსიტეტის ბაზაზე, კლინიკაში მყოფ ხელმძღვანელ ექიმს ეგზავნება შეფასების ფურცელი, სადაც აფასებს სტუდენტს. შეფასების მეთოდებთან და პერსონალის დატრენინგებასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიების ჩართვა გამოიწვია ახალმა დარგობრივმა ჩარჩომ, “ოსკი” გამოყენებულია ნორმისა და პათოლოგიის მოდულებში, ფინალური გამოცდის ეტაპზე, ხოლო კლინიკურ ეტაპზე ოსკი გამოყენებულია შუალედური გამოცდის ეტაპზე, მინი - კლინიკური გამოცდის შემთხვევაში ნახევარი არის “ოსკის” გამოცდის სახით მოცემული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ჩართეს მინი კლინიკური გამოცდის ფორმატი, იმიტომ, რომ რასაც ასწავლიან სტუდენტს პრაქტიკულ ნაწილში ის უნდა შეაფასონ კიდეც, თუ სტუდენტი მორიგეობს, ყოველდღიური დაკვირვების საშუალება რადგან არ აქვთ ამიტომ ფინალურ გამოცდაში ჩაერთო მინი კლინიკური გამოცდა, ხოლო კლინიკური საგნების შუალედური გამოცდა ტარდება კომპლექსურად, “ქეისებზე” დაფუძვნებული ტესტებით და “ოსკის” სახით. რაც შეეხება პერსონალის მომზადების საკითხს, მისი თქმით, “ოსკში” ჰყავთ საკვანძო პერსონალი, ვინც იცის როგორ ტარდება ის, თუმცა მან ისიც იცის, რომ სჭირდებათ პერსონალის ინტენსიური დატრენინგება, მათ მომზადებული აქვთ ტრენინგის განრიგი. დაწესებულების წარმომადგენელმა ეკრანის გაზიარებით გახსნა მინი კლინიკური შეფასების ფურცელი, რომელიც არის საერთაშორისო ფორმატის და სადაც იწერება სტუდენტის სახელი და გვარი, შეფასების თარიღი, სიმულაციურ და ნამდვილ პაციენტებთან ურთიერთობა, სტუდენტის შეფასება, სადაც გამოიკვეთება სუსტი და ძლიერი მხარეები, შემფასებლისთვის მოცემულია ინსტრუქცია, რომ სტუდენტმა პროტოკოლის მიხედვით, მოიპოვოს კლინიკური გამოცდის ფურცელთან ერთად პაციეტს ინფორმირებული თანხმობის ფორმა, შეფასების ფურცელში მოცემულია კრიტერიუმები, სირთულეების დონეების განმარტება კლინიკური გამოცდის დროს, ის თანდართულია სილაბუსებზე. საბჭოს წევრების ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა პროფესიონალიზმის კომპეტენციას, რომელიც არა მხოლოდ სამედიცინო სფეროში დახელოვნებას მოიცავს, არამედ კურსდამთავრებულის ზოგადი ცოდნა, ეთიკის საკითხების ცოდნა, ჯანდაცვის საკითხების ცოდნა, კვლევაში მონაწილეობა და ა. შ. გამომდინარე აქედან შეიმუშავეს კომპეტენციებზე გასვლის რუკა, სადაც ჩამოთვლილია მე - 13 კომპეტენციაზე გამსვლელი საგნები, თავიანთი დონეებით, განხილული იქნა თითოეული საგნის სილაბუსის შინაარსი. თუ კონკრეტულ რჩევას გასცემენ საბჭოს წევრები მაშინ ისინი გაითვალისწინებენ მას. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების სილაბუსის კომპეტენციას რაც შეეხება, მითითებული იყო, რომ ის გადის პაციენტის კონსულტაციაზე, დაწესებულებს წარმომადგენლის თქმით, ის გადის ამ კომპეტენციაზე გაცნობის დონეზე, რადგან ამ საგანში ისწავლება ელექტრონული ფორმები, სტატისტიკური ფუნქციები, ინფორმაციული ფორმები და ა. შ.

ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, თქვა, რომ მათ ნამდვილად დიდი სამუშაო გასწიეს, თუმცა მას აქვს ერთი შეკითხვა. მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაში მომავალ მედიკოსებს, რომლებმაც უნდა აღიარონ საყოველთაო, მაღალი ღირებულები, სამართლებრივი ეთიკური ნორმები, როგორ მოდის თანხვედრაში ის, რომ დაწესებულება იძლევა ინფორმაციას, რომ ონლაინ სწავლების რეჟიმში საქართველოს განათლების მინისტრის სპეციალური ბრძანება არსებობს, რომ არ აქვთ უფლება განახორციელონ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამები. ის დაინტერესდა, ანუ ის უნივერსიტეტები,

რომლებიც ახორციელებენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას იყო კანონთან წინააღმდეგობაში. ექსპერტის მოსაზრებით ეს მოხდა იმიტომ, რომ უნივერსიტეტს გადაეფარა ის პრობლემა, რაც აქვთ, რაც გაამართლებს ერთ-ორ თვიან ჩავარდნას, მან გაიხსენა კოლეჯი აიეტის შემთხვევა, რომელსაც არ მისცეს საექთნო პროგრამის განხორციელების უფლება და რომლის მიზეზი იყო ის, რომ პროგრამა არ იყო აკრედიტებული და რეკლამა ჰქონდათ "ფეისბუქზე" განთავსებული, ეს ჩაითვალა კანონის საწინააღმდეგოდ. თუ აღდგება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, სირცხვილია ონლაინ სწავლებაზე ასეთი განცხადების არსებობა. დაწესებულების წარმომადგეელმა განმარტა, რომ მათ არ დაუწყიათ საგანმანათლებლო პროგრამა, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი, ონლაინ სწავლება დაწყებული აქვთ ჯანდაცვის და რეაბილიტაციის საგანმნათლებლო პროგრამაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, იურისტმა თეონა ჭეიშვილმა მადლობა გადაუხადა გეომედის სახელით საბჭოს წევრებს იმისათვის, რომ ყველა მნიშვნელოვანი დეტალი განხილული იქნა სხდომაზე. მისი თქმით, საბჭოს თავჯდომარემ ლეგიტიმური შეკითხვა დაუსვა ექსპერტს, საგანმანათლებლო პროგრამა არსებობა არ არსებობასთან დაკავშირებით და თქვა, რომ ეს არ არის ისეთი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც არ უნდა არსებობდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გეომედის ორივე პროგრამის 7 წლით აკრედიტაციის საკითხი 9 თვეში მონიტორინგის განხორციელებით.
შესვენება გამოცხადდა: 16:30 საათზე
სხდომა განახლდა: 17:16 საათზე
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გეომედის ორივე პროგრამის 7 წლით აკრედიტაციის საკითხი 9 თვეში მონიტორინგის განხორციელებით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

ასევე, არ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები 2.3 და 2.5 და 2.6 კომპონენტთან დაკავშირებით, შესაბამისად მე-2 სტანდარტი ნაცვლად„ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან".
ამასთან, მე-5 სტანდარტთან მიმართებით, დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მიიჩნია, რომ მე-5 სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" უნდა შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან".

საბჭოს გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:
ა) სილაბუსები საჭიროებს დარგობრივი კომპეტენციების უფრო მეტად გააზრებას და შედეგების დაზუსტებას, მაგალითად, პირველსემესტრში გათვალისწინებული სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების ბლოკი,თავისი შინაარსით ვერ უზრუნველყოფს შედეგს პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა;
ბ) სილაბუსების ნაწილს აკლია დეტალიზება, მაგალითად, კურსს ,,სამეცნიერო პრაქტიკული მუშაობა" უნდა გააჩნდეს დაშვების წინაპირობები - სწორედ ის კომპონენტები, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამა საკმაო მოცულობით ისედაც ითვალისწინებს: მაგ. აკადემიური წერა, სამეცნიერო კვლევის მეთოდები, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა. გარდა ამისა, კვლევით კომპონენტში, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, საჭიროა უფრო გამჭვირვალე და კონკრეტული ინფორმაცია ჩასატარებელი კვლევის სახეების, განხორციელების დროის, კვლევის პრაქტიკული კომპონენტის ზედამხედველის/სუპერვაიზორის არჩევის დროისა და კრიტერიუმების, შესასრულებელი ნაშრომის მოთხოვნების, კრიტერიუმების და ა.შ. შესახებ. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია სილაბუსის გარეთ, დამატებითი სარეგულაციო დოკუმენტით იყოს მიწოდებული.
გ) სასწავლო კურსი „პრაქტიკა კლინიკაში" ბუნდოვანია რიგი საკითხები: რომელ ობიექტებზეა ხელმისაწვდომი პრაქტიკის განხორციელება, რომელი აკადემიური/მოწვეული პერსონალია

ჩართული კურსის განხორციელებაში, რა მინიმალური მოთხოვნა არსებობს სტუდენტისთვის (შინაარსობრივი სახის) და სხვ;

დ) პროგრამით გათვალისწინებულია კლინიკური ასპექტის შემოტანა პროგრამის განხორციელების ადრეული ეტაპიდანვე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. თუმცა, არ არის ნათელი და კონკრეტული პირველკურსელთა პრაქტიკის ობიექტზე მორიგეობის საკითხი - არ იკვეთება კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა არის სტუდენტთა მორიგეობის მიზანი, ვინ ზედამხედველობს სტუდენტს, შეფასების რა მექანიზმები არსებობს, რა ევალება სტუდენტს კლინიკაში, სადაც აღნიშნული აქტივობაა დაგეგმილი. არ იკვეთება უნივერსიტეტში შესაბამისი ინფორმაციის არსებობისა და ასევე, სტუდენტებისა და კლინიკების პერსონალისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების - პერსონალის მომზადების საკითხი.

ე) საგანმანათლებლო პროგრამაში ასახულია სწავლა-სწავლებისა და შეფასების ბევრი თანამედროვე მეთოდი (მაგ, Mini CEX, OSCE, სხვ). თუმცა, პროგრამის ყველა კლინიკურ საგანში საკმაოდ დიდი ,,დოზით“ გათვალისწინებული ეს მეთოდები მოითხოვს დიდ ძალისხმევას განხორციელებისას, ამავე დროს პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) სპეციალურ გადამზადებას, რომელთან დაკავშირებითაც, ზეპირი მოსმენისას არ გამოიკვეთა დაწესებულების მხრიდან პასუხები - როგორ მიმდინარეობს აღნიშნული პროცესი, რა სახის მოსამზადებელი სამუშაოები განხორციელდა ამ მიმართულებით, ტრენინგის ჩატარების ფორმატი, სხვ. რაც იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსების სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები გადასახედია;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთ-ერთი შედეგი - „პროფესიონალიზმი“ არის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუმცა ვერ ხერხდება ამ შედეგის შეფასების მეთოდების, კრიტერიუმების იდენტიფიცირება. ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის სხვა შედეგების (მაგ, როგორიცაა, პაციენტის გასინჯვა, პროცედურების ჩატარება, ანამნეზის შეკრება, კოლეგებთან კომუნიკაცია და ა.შ.) შეფასების ნიშნულების საკითხი.

რჩევები:

ა) ყურადღება უნდა დაეთმოს რიგი საკითხების განხორციელების პასუხისმგებლობის გადაცემას აკადემიურ გუნდში (მაგ. შეფასების ხელმძღვანელობა, კლინიკის წინა ეტაპის წარმართვა და ა.შ.), რომელმაც ანგარიში უნდა წარუდგინოს პროგრამის ხელმძღვანელსა და დეკანს. ეს არა მხოლოდ გაზრდის აკადემიური პერსონალის ცოდნას სასწავლო პროგრამის შესახებ, არამედ შეამცირებს პროგრამის ხელმძღვანელზე გადამეტებული დამოკიდებულების რისკს;

ბ) პროგრამის სტრუქტურისა და სრული შინაარსის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, უკეთესი იქნება, რომ მთლიანი პროგრამის აღწერილობა ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს ვებ-გვერდზე;

გ) პროგრამის სტრუქტურა და შინაარსის შემუშავება იქნებოდა უფრო მეტად თანამშრომლობითი, თუ ეს პროცესი დეკანის ხელმძღვანელობით მიიღებდა ოფიციალურ სახეს და ყველა ჯგუფის დაინტერესებულ პირს (განსაკუთრებით სტუდენტებს, კლინიკურ/არაკლინიკურ, დანიშნულ და მოწვეულ პერსონალს) ექნებოდა წარმომადგენლობა;

გ) მიუხედავად იმისა, რომ ,,ღამის ცვლამ" შესაძლოა დამატებითი შესაძლებლობები შექმნას, უნდა იქნეს გათვალისწინებული, თუ რამდენად შეძლებენ მოსწავლეები ჩაერთონ სწავლის პროცესში, როდესაც ისედაც დაღლილები არიან მთელი დღე აუდიტორიაში ყოფნით. სტუდენტების მიერ შედგენილი ჟურნალები კლინიკური შემთხვევებისთვის, რომლებიც შემდეგ ოფიციალურად კონტროლდება, შეიძლება იყოს ,,ღამის ცვლიდან" სარგებლის მიღების საშუალება;

დ) სასურველი იქნებოდა, თუკი სტუდენტური თვითმმართველობის კომიტეტი მიიღებდა ოფიციალურ სახეს შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე, რომლებზე წვდომაც ექნებოდათ თანამშრომლებსა და სტუდენტებს;

ე) გასათვალისწინებელია პროგრამის მთავარი ლიდერების იდენტიფიცირება და მათი დახმარება ისეთი საგანმანათლებლო კვალიფიკაციების მიღწევაში, როგორიცაა მედიცინის მაგისტრი ან დოქტორი;
ვ) სასურველია უნივერსიტეტს ყველა აუდიტორია აღჭურვილი იყოს ჰაერის კონდიცირების სისტემით;
ზ) სასურველია სტუდენტური თვითმმართველობის დაფინანსების გაზრდა;

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი -2
გადაწყვეტილება

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მ უხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28^8მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ორივე პროგრამას 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, 9 თვეში მონიტორინგით.

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი - ნიკა თიკანაშვილი

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დატოვა სხდომა 17:16 საათზე.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მედიცინის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (საპელაციო საბჭოს მიერ უკან დაბრუნებული)

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ინგლისური

10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი 0162, გ.წერეთლის N1, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის S კორპუსი
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ და მოწვეულმა საბჭოს წევრმა ივანე აბიათარმა.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა მაკა ზარნაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს მტკიცე და ძლიერი ხელმძღვანელობა, ენთუზმიაზმით სავსე, მოტივირებული გუნდი, იციან რატომ უნდათ მედიცინის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, ის ახალია, ინტეგრირებულია, შეესაბამება მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს, წარმოდგენილია შეფასებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდები. ექსპერტებს ჰქონდათ მცირედი შენიშვნები სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, ის კარგად არის გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე, წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, ზუსტად არის მითითებული თუ რომელი კურსი რომელ სწავლის შედეგზე რა ხარისხით გადის, თუმცა ექსპერტის მოსაზრებით, უმჯობესი იქნება სწავლის შედეგები უფრო კარგად იყოს ჩაშლილი, რომ უფრო გასაგები იყოს სტუდენტისთვის. ექსპერტის თქმით, ასევე, მათი რეკომენდაცია ეხებოდა ქართული ენის სწავლებას, საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანია, სტუდენტების უმრავლესობა არის უცხოენოვანი სტუდენტები, სწორედ ამიტომ, სასურველია ქართული ენის სწავლების წილი გაიზარდოს, მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაში ერთ - ერთი მთავარი კომპონენტი არის სწავლება პაციენტის საწოლთან, რაც ქართული ენის ცოდნის გარეშე ცოტა გაჭირდება, პაციენტმა შეიძლება იცოდეს ინგლისური ენა, თუმცა ეს არ არის საკმარისი. ასევე, კლინიკურ სწავლებასთან დაკავშირებასთან ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს ძლიერი სამედიცინო მეცნიერებები და პრეკლინიკური კურსი, აქვთ დიდი გამოცდილება, ძლიერი გუნდი, თუმცა უფრო მეტი გამოცდილება კლინიკურ სწავლებაში უფრო სასურველი იქნებოდა.
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, ის დაინტერესდა ექსპერტის აზრით, იმსახურებდა თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა პირობით აკრედიტაციას.

ექსპერტმა, მაკა ზარნაძემ აღნიშნა, რომ მისი დაწერილი დასკვნის საფუძველზე არ ეკუთვნოდა პირობითი აკრედიტაცია. მისი თქმით, საბჭომ ჩამოწია გარკველი კომპონენტები, რატომაც მას პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ივანე აბიათარმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა დასკვნა იყო დადებითი, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელსაც დაეთანხმნენ, თუმცა ჰქონდათ რამდენიმე რეკომენდაცია სადაც ჰქონდათ საკუთარი პოზიცია. ერთ - ერთი მათგანი ეხებოდა ბიუჯეტს, მათ ვერ მოახერხეს ბიუჯეტის განხილვა საბჭოზე. მისი თქმით, სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას იზიარებენ, რომ ნათლად მოხდეს კვალიფიკაციების გაწერა სილაბუსში, ასევე, ქართულ ენასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას სრულად ეთანხმებიან, გეგმავენ მოსამზადებელ ინტენსიურ კურსებს სემესტრის დასაწყისში, რომ სტუდენტებს სანამ გაივლიან კლინიკურ პრაქტიკულ კურსებს ჰქონდეთ კომპეტენცია. გარდა ამისა, მან აღნიშნა, ისიც, რომ სტუდენტები პირველ და მეორე სემესტრში ისედაც სწავლობენ ქართულ ენას.
საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ მათ აქვთ "ქრაშ" კურსი, ოჯახის ექიმთანაც უკვე დაიწყეს ავთენტური ვიდეოების ჩაწერა და "ქრაშ" კურსის გავლა მოხდება ყოველი სემესტრის დასაწყისში, მას კრედიტი ვერ მიენიჭება, თუმცა იქნება სავალდებულო.
დაწესებულების წარმომადგენელმა ივანე აბიათარმა კლინიკური აფილირებული პერსონალის გაძლიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ისინი ამ რეკომენდაციას განიხილავენ, როგორც გრძელვადიან, განვითარებაზე ორიენტირებულ რეკომენდაციას, ეთანხმებიან მას. მისი განმარტებით, ამ ეტაპზე პერსონალი რაოდენობრივად და კვალიფიკაციებით სრულიად აკმაყოფილებს, ეტაპობრივად ზრდიან რაოდენობას, კლინიკური მიმართულებით ჰყავთ რამდენიმე აკადემიური პერსონალი, დატვირთვის გაზრდის შემდეგ ეტაპობრივად გაზრდიან რაოდენობას, აკრედიტაცის ვიზიტის შემდეგ ჩატარდა 2 კონკურსი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აკრედიტაციის საბჭოზე გაჟღერებული იქნა 2 რეკომენდაცია, დანარჩენზე არ იყო მსჯელობა, ერთმა წევრმა გამოთქვა რჩევები, რომელსაც მოჰყვა დისკუსია, რამდენიმეს დაეთანხმნენ თუმცა არ არსებობდა იმის მოლოდინი, რომ ის გამოიწვევდა სტანდარტის დაწევას, შესაბამისად ისინი არ დაეთანხმნენ საბჭოს გადაწყვეტილებას.
ექსპერტმა მაკა ზარნაძემ დაამატა, რომ აკრედიტაციის საბჭოზე აღინიშნა, რომ თითქოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამებოდა მედიცინის დარგობრივ მახასიათებლების რაოდენობას, (მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში მოცემულია - 13 კომპეტენცია, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში - 10 კომპეტენცია) თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლების გადასაწყვეტია, როგორ დაალაგებს სწავლის შედეგებს, მათ გადაწყვიტეს, რომ განეხორციელებინათ სხვაგვარი ფორმულირება. ასევე, ექსპერტმა თქვა, რომ ის საბჭოზე დაისვა საკითხი, თითქოს სწავლის შედეგები არ იყო გაკეთებული მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, სწავლის შედეგები შემუშავებული იყო მსოფლიო სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ სიტყვიერად ჩაეწერათ, რომ ისინი შემუშავებული იყო მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, თუმცა იგი შეესაბამება მსოფლიო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის სტანდარტებს. საბჭოს წევრების ამ მოსაზრებას ექსპერტებიც ვერ დაეთანხმნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ივანე აბიათარმა დაადასტურა, რომ დარგობრივ დოკუმენტთან დაკავშირებით შესაბამისობის საკითხი ნამდვილად დაისვა საბჭოზე, მისი თქმით, ის თავად იყო ერთ - ერთი წევრი, ვინც ჩართული იყო მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების საბჭოში, ყველაზე დიდი დრო დაიხარჯა საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან მისადაგებაში. მისი განმარტებით, მათ სწავლის შედეგები შეიმუშავებს დარგობრივი დოკუმენტის კუმულაციური მეთოდით, მოხდა სწავლის შედეგების გამსხვილება ზოგიერთ სასწავლო კურსებში, სადაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა დარგობრივი

მახასიათებლების კომპეტენციებთან. რაც შეეხება სტანდარტს, თვითშეფასების დოკუმენტში აქვთ აღნიშნული, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისია დარგობივ დოკუმენტთან, თვითონ საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკე არ აქვთ ეს აღნიშნული, ნახსენები აქვთ კანმედი, კანადური ჩარჩო, რომელიც მნიშვნელოვანი გაიდლაინია სამედიცინო სფეროში. მისი თქმით, პორფოლიო ააგეს კანმედზე, მოეწონოთ მათი გამოდილება. რამდენიმე საერთაშორისო კონსულტანტი აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, ერთ - ერთი მათგანი არის საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელიც.
ექსპერტის თქმით, კანმედის დოკუმენტი, გამოყენებულია დარგობრივ დოკუმენტში, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი.
მოწვეული საბჭოს წევრი ნინო ჩიხლაძე დაინტერესდა რა მიმართულებით იყო კონკურსები გამოცხადებული, რაზეც ივანე აბიათარმა უპასუხა, რომ კონკურსები გამოცხადებული იყო: საბაზისო კლინიკური - ონკოლოგია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.
მოწვეული საბჭოს წევრი დაინტერესდა პორტფოლიოს 5 კრედიტთან დაკავშირებით თუ ვერ შეაგროვა სტუდენტმა ეს კრედიტები, რა ხდებოდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ივანე აბიათარმა განმარტა, რომ პორტფოლიო არ არის რაიმე ცალკე საგანი, კურსების ფარგლებში შეფასება გადადის პორფოლიოში, ის არსებობს იმისათვის, რომ სტუდენტმა ნახოს დაახლოებით რა დრო დასჭირდება რაიმეს წარმატებით დაცვას, პორტფოლიო არის სავალდებულო კომპონენტი, ის მიბმულია ქულებთან, ის 4 კომპონენტისგან შედგება და ბევრი კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს, სტუდენტს დამატებით შეუძლია თავისი მიღწევები ჩადოს პორტფოლიოში, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ნიშნების ფურცლებთან ერთად მას შეუძლია გამოიყენოს პორტფოლიოც, სტუდენტის სურვილი იქნება ამას გააკეთებს თუ არა, თუმცა მინიმალურ მოთხოვნა მაინც უნდა დააკმაყოფილოს.
მოწვეული საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა “პი ბი ელ” - თან დაკავშირებით, ხომ არ სჯობდა მისი ჩაშენება საგნებში, რაზეც ივანე აბიათარმა განმარტა, რომ მათ გაკეთებული აქვთ სინქრონიზაციის რუკა, აგებული აქვთ კურიკულუმი ე.წ არსებით ცოდნაზე, სადაც ჩანს თითოეულ კვირას რა ცოდნას იღებს სტუდენტი, რომ არ გამორჩეთ რაიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რუკის საშუალებით ისინი არსებითი ცოდნის საფუძველზე იყენებენ “პი ბი ელ “და “სი ბი ელ” ქეისებს. მისი განმარტებით, კვირის განმავლობაში არის სხვადასხვა მეცადინეობები და კვირის ბოლოს სტუდენტს აქვს კლინიკური “ქეისების” განხილვები, რომელიც შესაბამისობაშია იმ ძირითად ცოდნასთან, რაც გაიარეს მიმდიარე კვირას, “პი ბი ელ” ის შემთხვევაში კი პირიქით. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ექსპერტების რჩევა იყო, რომ ინტეგრაციის ნაწილში მოხდეს ჰარდენის 11 ნაწილის გათვალისწინება, ახლა მისაღებია ეს დონე, ეტაპობრივად გადავლენ მოდულარულ ვერსიაზე, გეგმავენ, იმას, რომ “პი ბი ელ” შევიდეს საგნის შიგნით, თუმცა “პი ბი ელ”ით აფასებენ მნიშნელოვან კომპეტენციებს, მაგალითად პროფესიონალიზმს.
საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ ის პატივისცემით არის განმსჭვალული ინსტიტუციის მიმართ იცის რა პასუხისმგებლობით მოეკიდა ამ საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას, თუმცა ის გაეცნო საბჭოს მასალას, კარგია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა აწყობილია საერთაშორისო გამოცდილებით, თუმცა ის თვლის, რომ კომპეტენციებთან დაკავშირებით ალბათ მაინც გასათვალისწინებელია, მითუმეტეს, როდესაც მათ ეს ყველაფერი აქვთ, უბრალოდ არ არის ასახულია საგანმანათლებლო პროგრამის შედეგში. საბჭოს წევრის თქმით, მისი მოსაზრება გამომდინარეობს იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა იღებს უცხოენოვან სტუდენტებსაც და ქართულენოვან სტუდენტებსაც, ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგად, საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო შედეგი კი აისახება დიპლომის დანართში. მან ამოიკითხა ექსპერტთა დასკვნიდან რჩევა, რომ კარგი იქნებოდა თუ გაიზრდებოდა კლინიკური სწავლების წილი, ის დაინტერესდა აპირებდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები ამ რჩევის გაზიარებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა ივანე აბიათარმა თქვა, რომ დანართ 2 - ში მოცემულია, რომ აკადემიურმა პერსონალმა, რომელიც მუშაობდა სწავლის შედეგების შემუშავებაზე გადაწყვიტა, რომ კომპეტენციები გათვალისწინებულიყო პაციენტის მენეჯმენტის ქვეშ, რეალურად ეს

ყველაფერი ტექნიკურ საკითხამდე გადის. ასევე, მან აღნიშნა, რომ მათი საგანმანათლებლო პროგრამა იყო პირველი, რომელიც დარგობრივი დომუმენტის ძალაში შესვლის შემდეგ გავიდა აკრედიტაციაზე, გარკვეულწილად იყო პრეცენდენტული. რაც შეეხება საბჭოს წევრის შეკითხვას, მან თქვა, რომ ცალკე აქვთ კლინიკური სწავლება გამოყოფილი, რომელსაც ეთმობა - 1 300 საკონტაქტო საათი. მისი მოსაზრებით, ეს შეკითხვა დაისვა, იმიტომ, რომ არ იყო მოცემული რა მოცულობა ეთმობოდა სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში სწავლებას, კლინიკურ, სიმულაციურ, გარემოში სწავლება არის 13 კრედიტი - საკონტაქტო საათები - 200 საათი, რომელიც უნდა გამოაკლდეს და დარჩება 1 200 საათი - კლინიკური საკონტაქტო. ეს ყველაფერი გაფართოვდება კლინიკურ პრაქტიკულ ნაწილში მე -12 სემესტრში, სადაც არის 4 დისციპლინა, შინაგანი მედიცინა, ქირურგია, საოჯახო მედიცინა და სტუდენტის არჩევითი, რაც არის მოსამზადებელი კლინიკური მუშაობისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ პრინციპი, რომელსაც ისინი იყენებენ ამ პროგრამაში გამოიყენება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებშიც შედეგების გაწერისას, უნდა შეიქმნას სწავლის შედეგები, იქიდან უნდა ხდებოდეს დიზაინის საფუძველზე ყველა დანარჩენი კომპეტენციის გაწერა, ის არ არის საერთაშორისო პრაქტიკიდან განსხვავებული მიდგომა. ჰარდენის გაიდლაინებში გაკეთებულია გრადაცია საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის დონის შედგები, ცხრილში გამოყენებული აქვთ რომელი დონის რა შედეგი სად უნდ იყოს გამოყენებული. მხოლოდ შემდეგ ხდება კურსის კონკრეტული კომპეტენციის განსაზღვრა.
საბჭოს წევრი ირმა წერეთელი დაინტერესდა რამდენად პრიორიტეტული დარჩებოდა ინგლისური ენის სწავლება, ხომ არ იყო გასაძლიერებელი ქართული ენის სწავლების დონე და რა ფორმით იყვნენ უცხოელი პერსონალი ჩართული საგანმანათლებლო პროგრამაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ივანე აბიათარმა აღნიშნა, რომ უცხოელი პროფესორები მუშაობენ უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრში, ისინი ერთ - ერთი მოწინავე უნივერსიტეტი არიან კვლევების თვალსაზრისით რეგიონში, შესაბამისად, უცხოელი პროფესორები გრძელვადიანი პერიოდით არიან საქართველოში, ხოლო რაც შეეხება ქართულ ენის სწავლების გაზრდასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას ისინი მას ეთანხმებიან.
საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აქვთ ქართული ენის ონლაინ კურსი, არსებობს რესურსი, თუმცა საუბარი იყო იმაზე ამ საგანმანათლებლო პროგრამის ბადეში რამდენად მოხდებოდა ამ დიდი რესურსის ჩართვა, შესაბამისად, იფიქრეს "ქრაშ" კურსების ჩასმა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თანამედროვე მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის ინგლისური ენის გარეშე სწავლა საქართველოში ცოტა რთულია.
შესვენება გამოცხადდა: 18:03 საათზე

სხდომა განახლდა: 18:20 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 8 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები:

ა) ფაკულტეტმა სათანადოდ უნდა განსაზღვროს საბოლოო სწავლის შედეგები კლინიკურ კურსებში კომუნიკაციის ცოდნის, უნარებისა და შესაბამისი დამოკიდებულებისა და ქცევის შესახებ. საჭიროა პაციენტებისა და მათი ნათესავების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფთან ურთიერთობა და კულტურული, ეთნიკური, რელიგიური თავისებურებების გათვალისწინება.

ადაპტირებული ჩარჩო აცნობებს ჩარიცხულ სტუდენტებს თუ რას მოელიან მათგან - ამგვარად, აუცილებელია საკომუნიკაციო უნარების კომპლექტის განსაზღვრა, რომელიც უნდა აითვისონ სტუდენტებმა წინასწარ დადგენილ ვადებში და სასწავლო პროგრამის დასასრულისათვის;
ბ) მეტი ყურადღება დაეთმოს ქართული ენის სწავლებას და კომუნიკაციას ქართულ ენაზე;
გ) საჭიროა კლინიკური პერსონალის რაოდენობის გაზრდა, განსაკუთრებით მათი, ვინც ჩართულია კლინიკურ სწავლებაში. ეს გაზრდა უნდა განხორციელდეს მაქსიმალური დატვირთვის რეგულირებისა და მომავალ წლებში სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობის გათვალისწინებით ამ თვალსაზრისით, დატვირთვის მინიმუმის, აკადემიური კვალიფიკაციების, კომპეტენციების რეგულირება კურსებთან მიმართებაში, ასევე, უნდა იყოს განსაზღვრული და დადგენილი კლინიკური პედაგოგიური პერსონალის თითოეული კატეგორიისათვის;
დ) ცალკე უნდა დადგინდეს კლინიკურ მენტორებად წამოყენებისა და მათი კვალიფიკაციების წესები;
ე) დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის პირველი 6 წლის განმავლობაში აფილირებულ ხელმძღვანელთა (შესაბამისი ხელშეკრულების მქონე პროფესორთა) საჭირო რაოდენობა;
ვ) პრე-კლინიკური სიმულაციური პრაქტიკა მისაღებია, თუმცა კლინიკურ კურსებში სტუდენტთათვის რეალური კლინიკური შემთხვევებისადმი ხელმისაწვდომობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი და საწოლთან პრაქტიკული სწავლების დრო მკაფიოდ განსაზღვრული;
ზ) კონკრეტულ კურსებს ან საგნებს შორის გადაფარვა თუ დუბლირება ყურადღებით უნდა შემოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში ჩასწორდეს;
თ) პრაქტიკული კლინიკური სწავლება და ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირის მიერ, რომელსაც გააჩნია საკმარისი გამოცდილება და შეუძლია გაუზიაროს უნარები და ცოდნა სხვებს. ასეთი სტატუსი უნდა იყოს დაფიქსირებული პირად ჩანაწერებში;
ი) პროგრამის შემოსავლები და ხარჯები, ისევე როგორც სამედიცინო განათლების ინტეგრირება მთლიანად ინსტიტუტისა და ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. უნდა დარეგულირდეს ბიუჯეტის გადანაწილების წესები და საფაკულტეტო წესები ან გადაწყვეტილებები საგანმანათლებლო ერთეულებს შორის სახსრების შიდა განაწილების თაობაზე.

რჩევები:

ა) "მედიცინის" პროგრამის სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა დაწესებულების მმართველობაში და ახალი ფაკულტეტის ორგანოებში; შეთავაზებულია აქტიური დახმარება უცხოური სტუდენტური ასოციაციების მხრიდან (მათი მონაწილეობა სტუდენტურ თვითმმართველობაში). დაინტერესებული მხარეები, სტუდენტთა ახალი ჯგუფების თვალსაზრისით, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობის წესებისა და რეგულირებების თაობაზე;
ბ) "მედიცინის" პროგრამის წარმომადგენლობა დაწესებულების გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში უნდა დარეგულირდეს და უსდ-ს ახალი ორგანიზაციული სქემა (ანუ ორგანიგრამა), მათ შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტის ახლად დაარსებული ნაწილები, წარმოდგენილი უნდა იყოს ვებ-საიტზე;
გ) სტუდენტის ინდივიდუალურად შემუშავებული ტექნიკური და პროცედურული უნარები და საწოლთან კლინიკური პრაქტიკისადმი მათი ხელმისაწვდომობა უნდა გაძლიერდეს და გახდეს გარანტირებული;
დ) კავშირი სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის (რომლებიც კარგადაა განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში) შესაძლოა უკეთ იქნეს აღწერილი სილაბუსებში; სწავლის შედეგების უფრო გამჭვირვალე და ზუსტი შეფასებისათვის რეკომენდებულია შეფასების კომპონენტების და კრიტერიუმების ზუსტად განსაზღვრა - განსაკუთრებით კლინიკური კურსების სილაბუსებში;

ე) კლინიკური მუშაობა მოიცავს კლინიკური უნარების განვითარებას სიმულირებულ ან/და კლინიკურ გარემოში. სიმულაცია და სტუდენტებისათვის სიმულაციის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა შეესაბამება კარგ გამოცდილებას, მაგრამ მიზანი არ უნდა იყოს ამ in vitro მეთოდებზე მეტისმეტი დაყრდნობა. თუ შესაძლებელია, უნდა გაიზარდოს კლინიკური სწავლების წილი;
ვ) საჭიროება დადგება ფაკულტეტის კვლევითი ერთეულების უკეთესი კავშირებისა სხვა სასწავლო და ჯანდაცვის ერთეულებთან, კავშირების განმტკიცებისა კლინიკურ პრაქტიკასთან;
ზ) შეთავაზებულია კლინიკურ კვლევებში კლინიკური პერსონალის ჩართულობის გაზრდა. 8. შეთავაზებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტისათვის სწავლების სტრატეგიასთან დამატებით მეცნიერების განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა. კვლევასა და სწავლებაში წარმატებისაღიარებისათვის სქემები ჯერ შეიძლება დაიგეგმოს, ხოლო შემდეგ განხორციელდეს, მაგალითად, სწავლების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გადანაწილების მეშვეობით;
თ) შეთავაზებულია დაწესებულების საკუთარი უნარების ცენტრისათვის სტრატეგიის შემუშავება;
ი) დეპარტამენტების უფროსებს შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველწლიური ანგარიშები, რომელთაც განიხილავენ ფაკულტეტის საბჭოზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი-0
გადაწყვეტილება

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2მ უხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, 4 (ოთხი) წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია, 8 (რვა) თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი - ნიკა თიკანაშვილი

4. მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება, N131.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე
7	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმატიკის ბაკალავრი
8		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0171, კოსტავას N77ა, მე-4 კორპუსი.
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგიათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ნანი არაბულმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე განხოციელდა მონიტორინგი ვიზიტის გარეშე. დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი იყო ანგარიში, რომ აღნიშნულმა საგანმანათლებლო პროგრამამ 7 წლის ვადით მიიღო აკრედიტაცია 2019 წლის ივლისში, ექსპერტებმა განახორციელეს მონიტორინგი პირველი, მეორე და 5.2 ქვესტანდარტის დათქმით. საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის დროს ექსპერტების მიერ შეთავაზებული 11 - ვე რეკომენდაციის გათვალისწინება უნდა მომხდარიყო 6 თვეში. დაწესებულების წარმომადგენლებმა წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრმა შეცვლილი სახელწოდებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების მაგივრად წარმოადგინეს ინფორმატიკა, მიზეზი იყო ის, რომ სახელწოდება გაურვევლობას იწვევდა სტუდენტებში და ისინი ვერ ხვდებოდნენ რომელ საგანამანათლებლო პროგრამაზე იყო საუბარი, რადგან სახელწოდება იყო ინფორმაციული ტექნოლოგიები, ხოლო კვალიფიკაცია იყო ინფორმატიკა. გარდა ამისა, მათი თქმით, საერთაშორისო აკრედიტაციისათვის ბევრად მომგებიანია ეს სახელწოდება. ექსპერტის თქმით, პირველად საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილი იყო 120/ნ ბრძანების სტანდარტებით, არ იყო გათვალისწინებული ძველი რეკომენდაციები, შემდეგ მათ წარმოადგინეს განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა, 69/ნ ბრძანების სტანდარტებით, სადაც გაითვალისწინეს ძველი რეკომენდაციები, რომლებიც მათ წინა აკრედიტაციის დროს მიიღეს. მისი განმარტებით, 120/ნ ბრძანების შემთხვევაშიც და 69/ნ ბრძანების შემთხვევაშიც საგანმანათლებლო პროგრამას ენიჭება ინფორმატიკის ბაკალავრის კვალიფიკაცია თუმცა 69/ნ ბრძანებით 0612 ინფორმაციული ტექნოლოგიები გაიმიჯნა ინფორმატიკისგან 0613, შესაბამისად ამ მიმართულებით განახორციელეს შემოწმება და გასცეს შემდეგი რეკომენდაციები: შემუშავდეს კურიკულუმების რუკა, სადაც აისახება რომელი სასწავლო კურსებით და აქტივობებით ვითარდება სტუდენტებში საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები. ეს რეკომენდაცია გამომდინარეობდა იქიდან, რომ არ იყო წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამა იყო

წარმოდგენილი ახალი სტანდარტით, თუმცა ყველა სილაბუსი იყო ძველი სტანდარტთ წარმოდგენილი, საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი პაკეტი არ იყო წარმოდგენილი. შემდეგი რეკომენდაციაა, საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსის კრედიტები განისაზღვროს საგნის სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდიარე, რაც წინა აკრედიტაციის ექსპერტების მიერაც იყო გაცემული. ასევე, რეკომენდირებულია, გადაიხედოს სილაბუსები და გაიზარდოს საკონტაქტო კვირების რაოდენობა, ინსტიტუციას აქვს 13 კვირიანი სალექციო დატვირთვა, თუმცა მას ჩამოთვლილი აქვს დასკვნაში სილაბუსები, სადაც მე - 7 კვირა არის შუალედური გამოცდა, მე - 13 კვირა შემაჯამებელი კვირა, განმეორება, შესაბამისად ისინი თვლიან, რომ იმ მასალის ათვისება 11 კვირაში არ არის შესაძლებელი. შემდეგი რეკომენდაციაა საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს ძირითად საგნებში ალბათობის თეორია და სტატისტიკა, რაც წინა აკრედიტაციის დროს გასცეს რჩევის სახით, თუმცა ეს საგანი არ იყო ჩასმული ახალ საგანმანათლებლო პროგრამაში. რეკომენდირებულია, ისიც, რომ სილაბუსები მოყვანილი იქნას შესაბამისობაში ახალ სტანდარტებთან. რაც შეეხება სათაურის ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამას მას შეეცვალა მიზანი, ახალი სახელწოდება სრულიად შესაბამისია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, კვალიფიკაცია დარჩა იგივე შეცვლილი კოდით 0613.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ჯონი მწარიაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის, მონიტორინგი დაინიშნა იმიტომ, რომ ისინი აპირებენ საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო “აბეტის” აკრედიტაციაზე გატანას, სადაც თითოეულ დეტალს აქვს დიდი მნიშვნელობა, “აბეტს” განცალკევებული აქვს ინფორმატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საბჭოები, შესაბამისად, სტუდენტების დაბნეულობას იწვევდა კვალიფიკაციისა და სათაურის სხვაობა. საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი უნდა განხორციელებულიყო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდების კუთხით, დაიდო ექსპერტთა დასკვნა, რომელიც იყო უფრო ყოვლისმომცველი, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა დასკვნის მიღების შემდეგ გადააგზავნეს არგუმენტირებული პასუხები, იმასთან დაკავშირებით თუ რა მოხდა ამ 6 თვეში. წარმოდგენილია ის რომ გადაიხადა სხვადასხვა საგნებში სალექციო საკონტაქტო საათების რაოდენობა, დაემატა ისეთი აქტივობები როგორიცაა ლაბორატორიული მეცადინეობები, თუმცა ისინი ხშირად ატარებენ სტუდენტების კმაყოფილების, კურსმათავრებულების და ჩართული პირების კვლევას და კურსდამთავრებულები წარმატებულად არიან დასაქმებულები, ისე, როგორც სტუდენტები. მათ არ ჰქონიათ რაიმე პრობლემა, საგნის ათვისებისათვის დროის არა საკმარისობასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზრდიდნენ საკონტაქტო საათებს, გარკვეულ საგნებში დაემატა კონკრეტული საათები. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კურიკულუმის რუკა არ იყო მოთხოვნილი, თუმცა ნებისმიერ ცვლილების დროს ისინი იყენებენ კონკრეტულ დოკუმენტს, რომლის ფარგლებშიც შემუშავებული აქვთ აქტივობები. სადაც ჩადებულია კურიკულუმის რუკა, ხდება მისი დადარება საგანმანათლებლო პროგრამასთან და თუ საჭიროებს კომპონენტი მოდიფიცირებას ამ მიმართულებით მუშაობს აკადემიური, მოწვეული პერსონალი და ხარისხის სამსახური ასევე, დაიტერესებული პირებიც. რაც შეეხება სასწავლო კურსებში “ალბათობის თეორია” და “სტატისტიკის” დამატებას, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა გააქვთ “აბეტზე”, რომელსაც აქვს მოთხოვნა მინიმუმ 15 კრედიტი მათემატიკის საკითხებისთვის, კონკრეტულად დისკრეტული მათემატიკა და შესავალი კალკულუსში, ამ ნაწილში წერია, რომ სასურველია დავალებები მოიცავდეს ისეთ საკითხებს როგორიცაა ალბათობის თეორია, წრფილვი ალგებრა, რიცხვითი თეორია და ა. შ. “აბეტი” არ აწესებს კონკრეტულ მათემატიკის საგნებს, ის აწესებს თემტიკას, თუმცა რა ფორმით ეს უნივერსიტეტის დისკრეცია. სტანდარტებთან მიმართებაში სილაბუსების წარმოდგენას რაც შეეხება ის ახალი აკრედიტებულია, წინა აკრედიტაციის დრო ის 6 კომპონენტით იყო

წარმოდგენილი, ცვლილება ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას, შესაბამისად, მონიტორინგის მიზანი იყო სახელწოდების შემოწმება კვალიფიკაციასთან და მიზნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა სულხან სულხანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, მისი თქმით, ალბათობის თეორია და სტატისტიკის სილაბუსი მზად ჰქონდათ, თუმცა აღარ დაამატეს რადგან კურატორი გ. მ. თვლის, რომ აღარ არის საჭირო რადგან სხვა საგნები მის გადაფარვას ახდენს.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა სასწავლო კურსი პროფესიული ინგლისურ ენასთან დაკავშირებით, რომელიც არჩევითია. ინფორმაციული ტექნოლოგიები მოითხოვს უფრო მეტ ცოდნას, ხომ არ ფიქრობდნენ ძირითადში მის გადმოტანას და ის ასევე დაინტერესდა ერთი ნაწილი პროფესიული ინგლისურის რამდენად არის საკმარისი. ელექტრონიკის საფუძვლების სასწავლო კურსთან მიმართებითებით თქვა, რომ სწავლის შედეგების მიღწევებში არ ჩანს ლაბორატორიული მუშაობა, მიმდევრობითი ჩართვა, პარარელური ჩართვა და ა. შ იგეგმება თუ არა ამ კუთხით მუშაობა.

სულხან სულხანიშვილმა აღნიშნა, რომ ფიზიკის და ელექტრონიკიის საფუძვლებიც ტარდება ლაბორატორიაში, ალბათ დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. მისი თქმით, სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული დავალებები, ასე, რომ საგნის კურატორთან ამ საკითხს აუცილებლად გაივლის, დაწესებულებას ორი ლაბორატორია აქვს. რაც შეეხება ინგლისურის ნაწილს, უმეტესობა ინგლისური წიგნი აქვთ, ინტეგრირებული აქვთ საერთაშორისო აკადემიების ბაზაზე სასწავლო პროცესი, რისთვისაც ინგლისური B2 – 1უკვე საკმარისია, თუ უნდა სტუდენტს გაიღრმავოს ცოდნა სთავაზობენ ტექნიკურ ინგლისურსაც, თუმცა ისინი თვლიან, რომ ძირითადი საგნებით სრულიად საკმარის ცოდნას იღებენ. საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე, გამოცდილება და ამდენი ხნის დაგროვილი ინფორმაციისათვის საკმარისია შეხვედრები, ასევე, ძირითად საგნებზე 11 – 12 შეხვედრა, თუ ლექტორს ან სტუდენტს უნდა, სტუდენტს შეუძლია შაბათ დღეს მოვიდეს, ივარჯიშოს და ლექტორთან გააკეთოს პრაქტიკული დავალება.

შესვენება გამოცხადდა: 18:54 საათზე

სხდომა განახლდა: 19:14 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2019 წლის 13 ივნისის N131 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანისა და აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება
საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად, გადაწყვიტა, რომ შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმაციული ტექნოლოგიების“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2019 წლის 13 ივნისის N131 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილება და გადაწყვეტილების სათაური და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სათაური:

„შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ”

სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინფორმატიკის“ საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.”

სხდომა დასრულდა: 19:19 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი - ნიკა თიკანაშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა